

ნინო აროშიძე

ნანა მაზმიშვილი

თარგმანის პრაქტიკუმი

(ელექტრონული კურსი)

მოცემული სალექციო კურსი გათვლილია სტუდენტებზე, რომლებიც ეწევიან ან მომავალში გეგმავენ მთარგმნელობით პრაქტიკას. იგი შედგენილი არის “თარგმანის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკის” კურსის მიხედვით, მაგრამ შეიძლება ასევე გამოყენებული იყოს თარგმანის სხვა პრაქტიკული კურსებისთვისაც, როგორცაა სამეცნიერო-ტექნიკური, საქმიანი, საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ტექსტების თარგმანი და მისთ. ამ მიზნით, კურსში აქცენტირებულია და გაშუქებულია ის თეორიული მასალა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მთარგმნელობითი კომპეტენციის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

სათარგმნი ტექსტების თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მთარგმნელს ფაქტობრივად დამოუკიდებლად უწყვეტად მოუწევს ამაზე მუშაობა სწავლის შემდგომ პერიოდშიც. ამიტომაც საჭიროა მომავალი მთარგმნელები/თარჯიმნები საწყის ეტაპზევე მიეჩვიონ სხვადასხვა ტიპის უცხო ტექსტებზე მუშაობას მთარგმნელობითი მიდგომით, რომ აითვისონ უცნობი/ნაცნობი ტექსტის დამუშავების პრინციპები: ტექსტის წინასწარი ანალიზი, შემოწმება-რედაქტირება, საცნობარო მასალასთან მუშაობა, ყურადღება გაამახვილოს ტიპურ შეცდომებზე, რომელიც დამწყებ და არამარტო დამწყებ მთარგმნელსაც კი შეიძლება მოუვიდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მზა რეცეპტები თარგმანში იშვიათობაა, არსებობს რაღაც ტენდენციები მთარგმნელობით სფეროში, მაგ.: საკუთარი სახელების, გეოგრაფიული სახელების, აბრევიატურების გადათარგმნის პრინციპები და მისთ. – ფაქტობრივად მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თეორიულ ექსკურს ბაზური მთარგმნელობითი მოვლენებსა და კონცეფციებზე, რასაც ახლავს თავისი

დავალელები პრაქტიკული მუშაობისთვის. სალექციო კურში მოყვანილია ტექსტები (ზოგიერთი პარალელულ ტექსტებს წარმოადგენს (ინგლ/ქართ ენებზე), რომელთა მაგალითზეც სტუდენტები შეძლებენ გაივარჯიშონ თარგმანში კონკრეტულ მთარგმნელობით ამოცანაზე აქცენტირებით: მაგ. ტრანსფორმაციების გამოყენება თარგმნისას (ლექსიკური და გრამატიკული), ცრუ-მეგობრები, ტერმინების თარგმნის პრობლემა.

მოცემული სალექციო კურსი დაეხმარება სტუდენტებს თარგმანის პროცესზე ზოგადი ცოდნისა და ბაზური პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას და შუქმნის კერძო მთარგმნელობითი განხრით მუშაობისთვის მყარ საფუძველს, რომლის განვითარებასაც სტუდენტი შეძლებს სპეციალური კურსების გავლით.

#### შინაარსი:

1. თარგმანის რაობა. თარგმანმცოდნეობა, როგორც მეცნიერება
2. თარგმანის ძირითადი ფორმები, სახეები და ჟანრები
3. თარგმანი, როგორც ორენოვანი კულტურათშორისი კომუნიკაცია
4. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები
5. პრაგმატული ადაპტაცია  
(წერილობითი) თარგმანის ჟანრული თავისებურებანი
6. მხატვრული ტექსტების თარგმნის სპეციფიკა
7. საქმიანი ქაღალდების თარგმნის სპეციფიკა.
8. სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების თარგმანი
9. ლექსიკური შრეების თარგმნის სპეციფიკა: ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების, არქაიზმების, ნეოლოგიზმების, ჟარგონისა თარგმანი
10. მთარგმნელობითი კომპეტენციის ძირითადი შემადგენლები

დამატებითი ტექსტების რედაქტირებისთვის

## 1. თარგმანის რაობა, თარგმანმცოდნეობა როგორც მეცნიერება

თარგმანს უდიდესი ისტორია აქვს (უძველესი თარგმანი თარიღდება ჩვ.წ.აღმდეგ 3000წ.), მაგრამ დამოუკიდებელ დისციპლინად იგი მხოლოდ XX ს. შუა ხანებში ჩამოყალიბდა. თარგმანის პირველი თეორეტიკოსები იყვნენ თავად მთარგმნელები, რომლებიც ცდილობდნენ გაეაზრებინათ და თეორიულად ჩამოეყალიბებინათ თავისი პრაქტიკული გამოცდილება.

კომისაროვი აღნიშნავს, რომ ტერმინს თარგმანი ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი არის თავად პროცესი – ერთ ენაზე გამოხატული მნიშვნელობის სხვა ენობრივი საშუალებებით გადმოცემა. მეორე არის ამ პროცესის შედეგი – ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი. ტერმინის დეფინიცია კი იმაზეა დამოკიდებულია, თუ რა თეორიულ სკოლას მიეკუთვნება განსაზღვრების ავტორი, მისი კვლევის მიზანზე. ერთ-ერთი გავრცელებული განმარტების მიხედვით, თარგმანი არის ერთი წერილობითი თუ ზეპირი ტექსტის ინფორმაციის (შინაარსის) სხვა ენაზე გამოხატვა, ეკვივალენტური ტექსტის შექმნის საშუალებით. ინფორმაციაში იგულისხმება სრული შინაარსი (როგორც აზრობრივი, ისე სტილისტური, ემოციურ-ექსპრესიული, ფუნქციონალური, ჟანრული, თუ ესთეტიკური ხასიათის შინაარსი). ეკვივალენტობა კი გულისხმობს დედნის ჟანრული თავისებურებებისა და მისის მრავალფეროვანი ინფორმაციის სრულ შენარჩუნებას თარგმანში. თუმცა თარგმანის ეკვივალენტობა ფარდოფითი ცნებაა. მისი ადეკვატურობის დონე სათარგმნი ტექსტის ჟანრსა და სპეციფიკაზეა დამოკიდებული.

თარგმანისა და მთარგმნელის თანამედროვე სახელწოდება (მაგალითად, რომანულ ენებში traduction (ფრ.), traduzione (იტ.), traductor, tradutor) კი მხოლოდ XVI ს. გაჩნდა. უფრო ადრე ეს მნიშვნელობა სხვა სიტყვებით აღინიშნებოდა. ციცერონმა, ჰორაციუსმა გამოიყენეს სიტყვა interpretes. იგივე სიტყვა გამოიყენა ბიბლიის მთარგმნელმა წმინდა იერონიმემ (ჩვ.წ.აღ. IV ს.). შუა საუკუნეებშიც მსგავს ტერმინებს იყენებდნენ, თუმცა მოგვიანებით ისინი ხმარებიდან გამოვიდნენ. თანდათან ფრანგულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები translation და transleteur (მნიშვნელობით “თარგმანი” და მთარგმნელი”), რომლებიც წარმოიშვა

ლათინური სიტყვებისგან translation და translator. შემდეგ ეს ტერმინები სხვა ევროპულ ენებშიც გავრცელდნენ. წიგნების ბეჭდვის დაწყება მთარგმნელობითი საქმის განვითარების დამატებით სტიმულად იქცა, რამაც თავის მხრივ დააჩქარა ტერმინების ჩამოყალიბება, რომელთა თანამედროვე ვარიანტები სწორედ ამ პერიოდში ეკუთვნის.

თარგმანის თეორიაში, ვინოგრადოვის აზრით, გამოირჩევა თარგმანის ზოგადი თეორია, თარგმანის კერძო თეორიები, თარგმანის სპეციალური თეორიები. იგი შემდეგ დარგებად იყოფა:

თარგმანის ზოგადი თეორია შეისწავლის თარგმანის პროცესსა და მის ზოგად კანონზომიერებებს, ამ პროცესის განხორციელების საშუალებებს. ზოგადი თეორია მოიცავს თარგმანის ნებისმიერ სახეობას (წერილობითს თუ ზეპირს), ხსნის იმ ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების თარგმანისას წარმოიშვება. თარგმანის ზოგადი თეორია ქმნის თეორიულ საფუძველს და განსაზღვრავს თარგმანის თეორიის კერძო და სპეციალური თეორიების ცნებებს. კერძო და სპეციალური თეორიები აკონკრეტებენ ზოგადი თეორიის მდგომარეობას თარგმანის ცალკეულ ტიპებთან მიმართებაში.

თარგმანის სპეციალური თეორია შეისწავლის თარგმანის თავისებურებებს ერთი კონკრეტული ენიდან მეორეზე, განსაზღვრული ენობრივი ერთეულების შესაბამისობის საკითხს, მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილისტურ ხერხებს და სხვ.

თარგმანის სპეციალური თეორია იკვლევს სხვადასხვა სახის თარგმანის (ზეპირი, წერილობითი, სინქრონული, თანმიმდევრული და ა.შ.) სპეციფიკას. გარდა ამისა, იგი შეისწავლის განსხვავებული ჟანრის ტექსტების თარგმანის თავისებურებებს.

თარგმანის კრიტიკა აფასებს ორიგინალისა და თარგმანის ადეკვატურობას და ძირითადად მხატვრულ თარგმანს ეხება. დამოუკიდებელ განხრად თარგმანის კრიტიკა შედარებით მცირე ხნის უკან ჩამოყალიბდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მანქანური თარგმანის თეორიამ, რომლის მიზანია მთარგმნელი მანქანის შექმნა. ამ დარგის თეორეტიკოსები ფართოდ იყენებენ ინფორმატიკის, კიბერნეტიკის, მათემატიკის, სემიოტიკისა და სხვა მეცნიერებათა მიღწევებს.

თარგმანმცოდნეობასთან მჭიდრო კავშირშია თარგმანის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ცდილობს შეიმუშავოს წერილობითი და ზეპირი თარგმანის სწავლების მეთოდები. ზოგი მეცნიერი გამოყოფს “თარგმანის დიდაქტიკას,” რომელიც სწავლების მეთოდოლოგიის განხრას უკავშირდება.

როგორც აღნიშნავს ბრეუსი, თარგმანის ლინგვისტური თეორიის კვლევის საგანია თარგმანის პროცესი და მისი დეტალური ანალიზი. თეორიის მთავარი ამოცანაა თარგმანის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ასახავდა თარგმანის ტექსტის შექმნის პროცესსა და გადაწყვეტდა დედნისა და თარგმანის ეკვივალენტობის საკითხს. ზედმეტია საუბარი სრულყოფილი და ყოველმხრივ ამსახველი მოდელის შექმნაზე. ისევე, როგორც ნებისმიერი ეპრიული მოდელი, თარგმანის თეორია აღწერს არა ყველა ასპექტს, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. სხვა თეორიული დისციპლინების მსგავსად, თარგმანის თეორიაშიც შესაძლებელია არაერთი მოდელის არსებობა, რომელიც განსხვავებული პოზიციიდან ასახავს ამ პროცესს. განსხვავების მიუხედავად ეს თეორიები არ გამორიცხავენ ერთმანეთს, ზოგი ბევრ საკითხში ემთხვევა კიდევ. მოდელები თავისებურად ავსებენ ერთმანეთს. მოდელებს შორის გამოიყოფა სემანტიკური, სიტუაციური, ტრანსფორმაციული, კომუნიკაციური და სხვა.

შესწავლის ობიექტის სირთულე და მრავალმხრივობა ფაქტობრივად გამორიცხავს ერთი უნივერსალური მოდელის შემუშავების შესაძლებლობას.

## 2. თარგმანის ძირითადი ფორმები, სახეები და ჟანრები

თარგმანის ზოგადი თეორიის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თარგმანის ძირითადი ფორმების, სახეებისა და ჟანრების გამოვლენა. თარგმანის კლასიფიკაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1) თარგმანის 3 ძირითადი ფორმა არსებობს: ზეპირი, წერილობითი, მანქანური;

2) სამი ძირითადი სახე: საზოგადოებრივ-პოლიტიკური თარგმანი, მხატვრული თარგმანი, სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი;

3) ყოველ ამ სახეს გააჩნია თავისი ჟანრული სისტემა, რომელიც თავის მხრივ იყოფა ქვე-ჟანრებად. ამ ფორმებს შორის ჟანრულ სისტემაში შეიმჩნევა ერთგვარი დიფუზია, ანუ გარდამავალი შუალედური ფორმები.

თარგმანის კლასიფიკაციაში სამი ძირითადი ფორმის გამოყოფას თავისი საფუძველი გააჩნია. ასეთ საფუძველს წარმოადგენს თარგმანში მოქმედი პირის, ანუ შემსრულებლის კატეგორია, რაც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ორი სახის თარგმანი: 1. ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანი და 2. მანქანის მიერ შესრულებული თარგმანი.

ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანის კლასიფიკაციისას გასათვალისწინებელია ორი მომენტი: 1) საწყისი ტექსტის აღქმის პირობები და (2) თარგმანის გაფორმება. ინფორმაციის აღქმა შეიძლება იყოს მხედველობითი და სმენითი გზით, რაც უკვე გვაძლევს საშუალებას განვასხვავოთ ზეპირი (სმენითი) თარგმანი და წერილობითი (მხედველობითი) თარგმანი. თარგმანის გაფორმებაც, შესაბამისად, ხდება წერილობითი ან ზეპირი სახით. ამის მიხედვით საჭიროა განვასხვავოთ მთარგმნელი და თარჯიმანი.

ზეპირად თარგმნის დროს თარჯიმანი აკუსტიკური ფორმით აღიქვამს ორიგინალს და ზეპირად წარმოთქვამს თარგმანს. მას არ სჭირდება დროის დისტანცია. წერილობითი თარგმნისას ერთი წერილობითი ტექსტი სხვა ენაზე შესრულებულ წერილობით ტექსტად გარდაიქმნება. თანამედროვე პირობებში

ზეპირი და წერიტი მეტყველება და თარგმანი ძალზედ დაუახლოვდა ერთმანეთს. ორატორის გამოსვლის ჩაწერის თანამედროვე საშუალებების წყალობით ზეპირი მეტყველება გარკვეულწილად წერიტად გარდაიქმნება.

ზეპირი თარგმანი თარგმანის ისეთი ტიპია, როდესაც ორიგინალი და მისი თარგმანი არაფიქსირებული სახით გვევლინება. ეს განაპირობებს ორიგინალის ერთჯერადობას და განუმეორებლობას, დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების შეუძლებლობას. თარგმანმცოდნეობა შეისწავლის იმ ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს მთარგმნელის მიერ ორიგინალის ტექსტიდან ინფორმაციის ამოღების პროცესზე. ზეპირი თარგმანის პროცესი გაცილებით სხვაგვარად ხორციელდება, ვიდრე კითხვის დროს. ტექსტის სრულად აღქმა დამოკიდებულია რიტმზე, ტემპზე, პაუზათა ოდენობასა და ხანგრძლივობაზე. ინფორმაციის ამოღება ცალკეულ მონაკვეთებათ ხდება, დაყოფილი ინფორმაციის ჯაჭვიდან. ხშირად მთარგმნელს უწევს გამოტოვებული ინფორმაციის, ან მისი წინასწარი პროგნოზირება. ამისათვის იგი იშველიებს ორატორის ტექსტში საყრდენ-აზრობრივ მონაკვეთებს. ამ დროს გარდაუვალია სხვადასხვა სახის დანაკარგი: სემანტიკური, კომუნიკაციური, სტილისტური, თუ სინტაქსური. ზეპირი თარგმანი აღწერს ასეთი დანაკარგების კომპენსირების ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს და კომპენსირების ფაქტორებს, როგორცაა ცოდნა და გამოცდილება, ინტონაცია, ემოციური შეფერილობა.

ზეპირი თარგმანის დროს თარგმანი შეიძლება ხორციელდებოდეს ორიგინალის აღქმის პარალელურად, ან მას შემდეგ, რაც ორიგინალის აღქმა დამთავრდა. შესაბამისად, გამოყოფენ ზეპირი თარგმანის ორ ქვეტიპს: სინქრონულს და თანმიმდევრულს.

სინქრონული თარგმანის დროს თარგმანის პროცესი აუდირების პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ორატორის მეტყველების აღქმასთან ერთად. ზეპირი თარგმანის თეორიაში აღნიშნულია თარგმანის მეტყველების შემდეგი თავისებურებები: მაგალითად, ნელი არტიკულაცია, ყოყმანი, პაუზები ვარიანტების შერჩევას, რაც ორიგინალსა და თარგმანს შორის ინტერვალს 3-4-

ჯერ ზრდის. სინქრონული თარგმანის მეტად რთული სახეა, რადგანაც იგი რთულ აზრობრივ პროცესს წარმოადგენს.

სინქრონულთან შედარებით, თანმიმდევრული თარგმანი ნაკლებ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს, თუმცა ისიც ხშირად ექსტრემალურ პირობებში ხორციელდება. გარდა ამისა, მას უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. თანმიმდევრული თარგმანისას თარჯიმანს ევალება შეინარჩუნოს აზრობრივი და სინტაქსური სტრუქტურა ტექსტისა. მაგრამ თარგმანის თეორია აქაც უშვებს სხვადასხვა სახის დანაკარგებს, როგორცაა, გამეორებული აზრის გამოტოვება, სიტყვის გამოტოვება, სინტაქსური სტრუქტურის გამარტივება, სტილის განეიტრალება. მთარგმნელი ცდილობს ეს დანაკარგები მინუმუმამდე დაიყვანოს.

მაშინ როდესაც თარჯიმნობისას (ანუ ზეპირ თარგმანში) პირველ ადგილზე დგას სისწრაფე, (წერილობითი) თარგმნისას ეს შეიძლება არ იყოს საჭირო. ასეთი თარგმანი არ არის სპონტანური და მთარგმნელისთვის არ წარმოადგენს პრობლემას შეცდომების შესწორება და რედაქტირება. სამაგიეროდ ეკვივალენტობის მოთხოვნა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ზეპირი თარგმნისას, აზრობრივი შეცდომები კი საერთოდ დაუშვებელია. გარდა ამისა წერილობითი ტექსტების უამრავი სახე არსებობს, და თითოეული თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ მთარგმნელი თავდაპირველად ეცნობა მთლიან ტექსტს და შემდეგ უკვე იწყებს მის თარგმნას. ზეპირი თარგმანი ხშირად არ იძლევა ამის შესაძლებლობას. როგორც ვიცით, ნებისმიერი სახის თარგმნისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ ვისზეა ორიენტირებული თარგმანის ტექსტი. არც თუ ისე იშვიათად წერითი თარგმნის დროს ეს ფაქტორი უგულებელყოფილია, იმიტომ, რომ მთარგმნელს შეიძლება არ ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია მისი თარგმანის მიმღებზე და ასევე არ ჰქონდეს საშუალება ავტორთან კონსულტაციისა; მაშინ როდესაც ზეპირი თარგმანის უდავო უპირატესობა ისაა, რომ თარჯიმანმა იცის ვინ შეადგენს მის აუდიტორიას და ავტორთანაც კონტაქტის საშუალებაც შეიძლება გააჩნდეს. არსებობს წერილობითი ტექსტის თარგმანის რამდენიმე ეტაპი. წინასწარი ანალიზი, შემდეგ სრულდება საწყისი თარგმანი, რომელიც შემდეგ იხვეწება, და ბოლოს მთარგმნელი აკეთებს



საბოლოო რედაქტირებას ტექსტისა. მხოლოდ ამის შემდეგ წერილობითი თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად.

მანქანური თარგმანის თეორია თარგმანმცოდნეობის ერთ-ერთი ქვედარგია, რომელიც აქტიურად იყენებს კიბერნეტიკის, მათემატიკისა და ლინგვისტიკის თანამედროვე მიღწევებს. მისი მიზანია ისეთი მანქანის შექმნა, რომელიც შეძლებს ორიგინალის შესატყვისი თარგმანის შექმნას. ეს თეორია ემყარება კომპიუტერის მიერ საწყისი და სათარგმნი ენების შესატყვისთა დაძებნას. ბუნებრივია, ეს პროცესი უფრო მექანიკურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც მანქანას ფიქრი და შემოქმედებითი აზროვნება არ შეუძლია. მანქანა ეყრდნობა იმ ინფორმაციას რა ჩადო მასში ადამიანმა, ამიტომაც მანქანურ თარგმანს უმეტესწილად იყენებებენ შედარებით იოლი, სამეცნიერო და საქმიანი დოკუმენტების დამუშავებისას. მანქანური ტექსტის თარგმანს აუცილებლად სჭირდება რედაქტირება, რასაც უკვე ადამიანი აკეთებს. იმ მიზეზით, რომ მანქანას არ შეუძლია შემოქმედებითი აზროვნება, ეს გამორიცხავს ამ ეტაპზე მხატვრული მანქანური თარგმანის შესაძლებლობას. ყოველივე ეს მეტად ზღუდავს მანქანური თარგმანის გამოყენების სფეროსა და ეფექტურობას, მაგრამ დღესდღეობით მეცნიერები მეტად აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

### 3. თარგმანი, როგორც ორენოვანი კულტურათშორისი კომუნიკაცია

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ფსიქოლინგვისტიკის განვითარებამ ხელი შეუწყო თარგმანის თეორიულ გააზრებას, რის შედეგადაც თარგმანი მოიაზრება როგორც მრავალფეროვანი მოვლენა, რომლის პროცესში მიმდინარეობს არა მარტო ენობრივი ფორმების შეფარდება, არამედ ორი ერის მსოფმხედველობის შეპირისპირება.

რ.იაკობსონის უნივერსალური კომუნიკაციური აქტის მთავარი კომპონენტებია: ადრესანტი, ადრესატი, რეფერენტი (რაზეც არის შეტყობინება), კავშირის არხი, ენობრივი კოდი და საკუთრივ შეტყობინება ტექსტის სახით წარდგენილი (ერთენოვანი კომუნიკაციის სქემა).

თარგმნის დროს იაკობსონის მოდელი განიცდის ტრანსფორმაციას: საწყისი ენის ადრესანტი, მთარგმნელი-შუამავალი, რომელიც პირველ ეტაპზე ასრულებს ორიგინალური ტექსტის მიმღების როლს, ხოლო მეორე ეტაპზე ახდენს მის ენობრივ გადაფორმებას და პრაგმატულ ადაპტაციას, ანუ – ქმნის ტექსტს თარგმნის ენაზე – გამოდის ავტორის როლში და, ბოლოს, მეორე ტექსტის ადრესატი.

რეფერენტი (რაზეც არის შეტყობინება) ამ შემთხვევაში რჩება იგივე, რაც შეეხება კავშირის არხს და ენობრივ კოდს – თუ ორენოვანი კომუნიკაციაა – არხი იგივეა, ხოლო კოდი იცვლება, თუკი სემიოტიკური თარგმანია – არხი იცვლება, კოდი კი ან იცვლება, ან არა. რაც შეეხება თავად შეტყობინებას, ანუ ტექსტს, ეკვივალენტური ტექსტი იქმნება (ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობას აქვს ადგილი). ორენოვანი კომუნიკაციის სქემის განხილვა.

თარგმანი, როგორც პროცესი, შედგება სამი ძირითადი ეტაპისგან: 1. ორიგინალური ტექსტის აღქმა მთარგმნელის მიერ, რომელიც ბილინგვია და ამ ეტაპზე ასრულებს ადრესატის ფუნქციას. ამ ეტაპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან შუამავალმა უნდა მაქსიმალურად აითვისოს ტექსტური ინფორმაცია, რომელიც ხშირად ფარულია.

2. ორიგინალური ტექსტის გადაფორმების დროს მთარგმნელი იყენებს უამრავ ტრანსფორმაციას, რომლის კლასიფიკაციას ცალკე ლექცია დაეთმობა.

3. ტექსტის პრაგმატული ადაპტაცია აუცილებელია, ვინაიდან სხვა ენის მატარებელი ამავედროულად უცხო კულტურის წარმომადგენელია, მას გააჩნია სხვა ფონური ცოდნა, სხვა წარმოდგენა წეს-ჩვეულებაზე. ამიტომაც მთარგმნელმა უნდა მოახდინოს ტექსტის რედაქტირება, გარკვეული სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ნიუანსების ტრანსფორმაცია, ახსნა-განმარტება, რასაც პრაგმატული ადაპტაცია ეწოდება.

თარგმანი თავისებური სახის ბილინგვიზმის სიტუაციაა. სხვა ორენოვანი კომუნიკაციის შემთხვევებთან შედარებით თარგმანის თავისებურ ხასიათს აღნიშნავდა თარგმანის თეორეტიკოსი ფრანგი ჟ. მუნენი, რომელიც მის მიერ ფორმულირებულ თარგმანის განმარტებაში წერდა: “თარგმანი არის ენების კონტაქტი და ბილინგვიზმის ფაქტი. მაგრამ ბილინგვიზმის ეს ფაქტი ძალზედ თავისებურ ხასიათს ატარებს და არ ემორჩილება ზოგად კანონზომიერებებს. თარგმანი ენების კონტაქტის სიტუაციას წარმოადგენს. ის შეიძლება აღწერილი იქნას როგორც ასეთი კონტაქტის უკიდურესი შემთხვევა, როდესაც ბილინგვიზმის ჩვეული შედეგებისადმი წინააღმდეგობა უფრო გააზრებული და ორგანიზებულია. ამ შემთხვევაში ორენოვანი კომუნიკანტი გააზრებულად ებრძვის ენობრივი ნორმისაგან ნებისმიერ გადახრას, ნებისმიერ ინტერფერენციას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება ასეთი საინტერესო ფაქტების შეგროვების საშუალება ნათარგმნ ტექსტებში”. ამრიგად, თარგმანი არის ინტერფერენციისადმი გააზრებული წინააღმდეგობის ფაქტი. თარგმანის, როგორც ორენოვანი კომუნიკაციის ფაქტის მთავარი თავისებურება ისაა, რომ თარგმანი, თავისი არსით, ყოველთვის მეორადია. თარგმანი – ეს არის სამეტყველო აქტი, რომლის მიზანი არა შექმნაა, არამედ უკვე არსებული სამეტყველო ნაწარმოების სხვა ენაზე აღდგენაა. თარგმანის ეს მნიშვნელოვანი თვისება ქმნის თავისებურ სიტუაციას: მთარგმნელი აღმიჩნდება არა მხოლოდ ორი ენის სისტემის გავლენის ქვეშ, არამედ ერთ-ერთი ენის ნიშნებში მატერიალიზირებული ცნებების ქვეშ. სწორედ ეს “მესამე ძალაუფლება” იწვევს ისეთ მოვლენას, როგორცაა მთარგმნელობითი ინტერფერენცია.

#### 4. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები

შეუძლებელია თარგმანი ერთი ენიდან მეორე ენაზე ტრანსფორმაციების გარეშე. თარგმნისას აუცილებელია მთარგმნელმა გაითვალისწინოს როგორც წყარო, ასევე სამიზნე ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურა, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენების მიხედვით და დედნის ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურების ზუსტი გადმოცემით მთარგმნელმა შეიძლება დაარღვიოს სამიზნე ენის ენობრივი ნორმები და სტილი. იმ შემთხვევაში, როდესაც ორიდინალის გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებების შენარჩუნება შეუძლებელია, მთარგმნელი იძულებულია შეიტანოს გარკვეული ცვლილებები ორიგინალის ტექსტში. შესაბამისად, იგი განიცდის ტრანსფორმაციას. ტრანსფორმაცია ორი სახის შეიძლება იყოს: ლექსიკური და გრამატიკული.

გარბოვსკის აზრით, გრამატიკული ტრანსფორმაციის აუცილებლობას თარგმნისას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები. სამიზნე და წყარო ენებზე შესაბამისი ფორმების არარსებობა გრამატიკული ტრანსფორმაციის აუცილებლობას იწვევს. პრაქტიკაში, თარგმნის დროს გრამატიკულ ტრანსფორმაციას ლექსიკური ტრანსფორმაციის განხორციელება განაპირობებს. გრამატიკული ტრანსფორმაცია ითვალისწინებს წინადადების სტრუქტურის ცვლილებას, როგორც სინტაქსურს ასევე მორფოლოგიურს. თარგმნის თეორეტიკოსი ტ. ლევიცკაია გრამატიკული ტრანსფორმაციის 4 ძირითად ტიპს გამოყოფს:

1. გადაადგილება
2. შეცვლა-ჩანაცვლება
3. დამატება
4. გამოტოვება

გადაადგილება განპირობებულია უამრავი მიზეზით, რომელთაგან უმთავრესი მიზეზია ინგლისურ და ქართულ წინადადებათა კონსტრუქციული განსხვავება. როგორც ვიცით, ინგლისურენოვანი წინადადების წევრთა წყობა მტკიცედაა დაკანონებული და კონსტრუქცია ირეარქიულობით ხასიათდება. წინადადების მთავარი წევრები საწყის პოზიციაზე არიან განლაგებული, ხოლო მათ წინადადების არამთავარი წევრები მოჰყვება.

ქართულ ენაში დასაშვებია წინადადების არამთავარი წევრი საწყის პოზიციას იკავებდეს.

მაგალითად: **გუშინ ვაშინგტონში პრესკონფერენცია გაიმართა.** აქ ინფორმაციის ცენტრი, ანუ რემა არის პრესკონფერენცია, რომელიც ამავე დროს არის ქვემდებარეც. ინგლისურ წინადადებაში კი თემატური ქვემდებარე წინადადების საწყის პოზიციაზე დგას: **A press conference was held in Washington yesterday.**

გადაადგილების გარდა გრამატიკული ტრანსფორმაციის კიდევ ერთერთი გავრცელებული მეთოდია ჩანაცვლება, რომლის დროსაც პასიური გვარის კონსტრუქცია აქტიური გვარის კონსტრუქციით და მისთ.

გამოტოვება-შევსების დროს ხდება დამატებითი ელემენტების შეტანა, ან არასაჭირო ელემენტების გამოტოვება. მაგ.: **Her hands rested side by side on her lap.** - **მას ხელები კალთაზე დაეწყო.** გამოტოვებული ელემენტია side by side.

რაც შეეხება ლექსიკურ ტრანსფორმაციებს, აქ შედის: ანტონიმური თარგმანი, მნიშვნელობის გენერალიზაცია, კონკრეტიზაცია, აზრობრივი გავრცობა.

ანტონიმური თარგმანი კომპლექსურ ლექსიკურ-გრამატიკულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს დადებითი კონსტრუქციის უარყოფითი კონსტრუქციით შეცვლას. აქ არ არის აუცილებელი not ნაწილაკის გამოყენება. მაგალითად:

ნუ ივლით გაზონებზე - keep off the grass

უცხო პირთა შესვლა აკრძალულია - Staff only

თარგმნის დროს ხშირად მივმართავთ გენერალიზაციის მეთოდს. ნებისმიერ ენაში არის ისეთი სიტყვები, რომლებსაც სათარგმნ ენაზე არ მოეპოვებათ ადეკვატები. მაგალითად: ინგლისურ გაზეთებში იბეჭდებოდა სტატია სათაურით: No hanging bill, რაც ნიშნავდა არა ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯით გაუქმებას, არამედ მთლიანად სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

გენერალიზაციის საპირისპირო მოვლენაა კონკრეტიზაცია, რაც ფართო მნიშვნელობის ცნების დაკონკრეტებას ნიშნავს. აზრობრივი გავრცობის მეთოდი

მოითხოვს სალექსიკონო ერთეულის კონტექსტუალური ერთეულით შეცვლას. ამ ტრანსფორმაციებს განეკუთვნება ხვადასხვა სახის მეტაფორული თუ მეტონიმური ტრანსფორმაციები. მაგალითად:

I do not think she is living here at the moment. Her bed was not slept in.

მე ვფიქრობ, რომ ის აქ არ ცხოვრობს ამჟამად, რადგან მისი ლოგინი ხელუხლებელია.

აზრობრივი გავრცობის მეთოდის გამოყენება ხშირად გამოწვეულია იმით, რომ დედნისა და თარგმანის ენების ერთეულები განსხვავდებიან კოლოკაციებით. მაგალითად, ინგლისური წინადადების At last he found his voice შეიძლება ითარგმნოს, როგორც მას ხმა დაუბრუნდა. სიტყვა ხმა ქართულში არ ეთანხმება სიტყვას პოვნა. ამ შემთხვევაში მისაღებია მისი სიტყვის “დაუბრუნდა” გამოყენება.

ამრიგად, თვლის ლატიშევი, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ფართოდ გამოიყენება მთარგმნელობით პრაქტიკაში. ვინაიდან იგი გულისხმობს დედანში რაღაც ცვლილებების შეტანას, მთარგმნელი, რომელიც ორიგინალის მაქსიმალურად ზუსტი გადმოცემისკენ ისწრაფვის, უნდა ითვალისწინებდეს: რამდენად საჭიროა ამა თუ იმ ტრანსფორმაციის გამოყენება. მაგალითად, გაუმართლებელად ხშირად გენერალიზაციის გამოყენება აუფერულებს თარგმანს, ამიტომაც მთარგმნელს დეტალური ანალიზის გაკეთება უწევს, ვიდრე იგი მიმართავს რაიმე ტრანსფორმაციებს.

## დავალელები

### ლექსიკური ტრანსფორმაცია:

(1) გადათარგმნეთ გამოყოფილი სიტყვები. სიტყვის განსხვავებული თარგმანის შემთხვევაში, გაანალიზეთ და დაასაბუთეთ ცვლილების საჭიროება.

He is a **man** of taste

All the king's **men**

Then you will be a **man**, my son

(2) გადათარგმნეთ შემდეგი წინადადებები სხვადასხვა ლექსიკური ტრანსფორმაციების გამოყენებით:

(ა) კონკრეტიზაცია

1. There we are likely to see an inhospitable land of rocks and crazily precipitous crags and mountains under a big sky.
2. The tree also is sitting quietly, doing nothing; actually all parts of the cosmos are doing the same thing -- being.
3. The millennia pass and the big round eyes of fish stare at the various shapes in this corner of the subaqueous universe.
4. When we, human beings, can stop using language or when we can use it to cope purely and only with the present moment, we find that the quality of our living is changed.
5. When we sit quietly with the same unselfconscious concentration, we also generate organismal joy.
6. Eight hundred years ago Toba, a Japanese artist, painted a long scroll with many scenes of apes and frogs and rabbits and deer frolicking; in this scroll, for example, a frog sits cross-legged in a 'sacred' place, as if he were the Buddha or a Buddhist abbot.

7. Many of us tend to think of life as a parade, something planned to be a triumph of artifice over nature.
8. True insight does not issue from specialised knowledge but comes from the preconscious intuitions of one's whole being, from one's own code.

(ბ) გენერალიზაცია

(გ) დამატება ან გამოკლება

- (1) The flowers **carpeted** the hills and fields.
- (2) She has never travelled **internationally**
- (3) They watched the criminal **out of the court room**.
- (4) **Professionally**, he can be completely relied on.
- (5) He jumped to his feet and ran after them.
- (6) Why scratching your left ear with your right hand?
- (7) Any changes and amendments to the agreement have to be done in written.
- (8) We were sick and tired of waiting for hours and hours.

(დ) ფუნქციონალური ჩანაცვლება ან გარდაქმნა

1. In many parts of Great Britain, the custom of First-footing in the early hours of January 1st is kept with great vigour. The First Foot comes as soon as possible after midnight has struck. The First Foot is traditionally supposed to influence fortunes of the householders in the following twelve months.
2. The Old and unusual game known as the Hood Game, or Throwing the Hood, is played every year on Old Christmas Day, January 6th at Haxey in



north Lincolnshire. The ceremonies of Haxey Hood begin in the early afternoon with the procession of the Fool and his twelve Boggans up the village street to a small green place outside the parish church. The Boggans are the official team and play against all comers. Chief among them is the King Boggan, or Lord of the Hood, who carries a wand, or roll of thirteen willows as a badge of office. He and all his team should wear scarlet flannel coats and hats wreathed with red flowers. The "hoods" used in the game bear no resemblance to the headgear from which they are supposed to take their name. The main hood, or Leather Hood, is a two-foot length of thick rope encased in stout leather. The lesser 'hoods' are tightly-rolled pieces of canvas, tied with ribbons.

3. Jack-in-the-Green is that very ancient figure who represents the Summer. As Green George, or the Wild Man, his counterparts exist all over Europe. In England, he takes the form of a man encased in a high wickerwork cage which completely covers him and is in its turn entirely smothered in green branches, leaves and flowers. Only his eyes are visible, looking through the hole cut in the cage, and his feet below the level of the wicke-work. Sometimes he goes about alone, sometimes with only a few attendants, and a musician or two.

4. Egg-shackling takes place on Easter Monday, or Ducking Monday, as it is often called in Eastern Europe. Young men splash unmarried girls vigorously with water. The girls are, of course, expected to submit with

good grace, and even, in some areas, to pay for the privilege with gifts of painted eggs, or glasses of brandy.

**(2) გრამატიკული ტრანსფორმაციები:**

**დავალება 1. გადათარგმნეთ წინადადებები ქართულ ენაში ინგლისურის ანალოგიური გრამატიკული ფორმების არსებობის ან არარსებობის გათვალისწინებით.**

1. He was in the hospital with the pain in his liver.
2. The men fell out for the parades early each Sunday afternoon and groped their way into ranks of twelve.
3. One day he felt that he could endure his loneliness no longer.
4. Soon it dawned upon him that they had recognised him.
5. There was no hope left.
6. Each time the fall of a city like Naples, Rome - or Florence seemed imminent, Major Coverely would pack his bag, commandeer an airplane and a pilot, and have himself flown away.
7. Williams reached out instinctively for balance and then launched himself forward in a prodigious dive.
8. He sank back into his chair and turned his head away.

9. There was no taxi in sight and he started to walk in the direction of the Park.

10. She was a mercenary little thing.

**დავალება 2: გადათარგმნეთ შემდეგი წინადადებები ანტონიშური თარგმანის ან შეკვეცა-გავრცობის მეთოდის გამოყენებით.**

1. The permission is not given unless authorized by the dean.
2. Her name does not sound unfamiliar to me.
3. I have just said to myself if it were possible to write, those white sheets would be the very thing, not too large or too small, but I do not wish to write, except as an irritant.
4. Of all things coming home from a holiday is undoubtedly the most damned.
5. Freedom which now she found made it quite easy for her to refuse Sybil's invitations, to take life much more strongly and steadily.
6. It is a decaying village, which loses its boys to the towns where not a boy of them, said the Rev. Mr Hawkesford, is being taught to plough.
7. To look at, he is like some aged bird; a little, small-featured face, with heavily lidded smoky bright eyes; his complexion still ruddy; but his beard is like an unweeded garden.
8. We went to Amberley yesterday and thought of buying a house there.

9. Angelica was so mature and composed; all grey and silver; such an epitome of all womanliness; and such an unopened bud of sense and sensibility wearing a grey wig and a sea-coloured dress.

10. The world is swinging round again and bringing its green and blue close to one's eyes.

11. I see Chartres in particular, the snail, with its head straight, marching across the flat country, the most distinguished of all churches.

12. This was the last day of August and like almost all of them of extraordinary beauty when each day is fine enough and hot enough for sitting out.

**დავალება 3. თარგმნეთ ქვევით მოყვანილი წინადადებები კომპლექსური გრამატიკული გარდაქმნების გამოყენებით საჭიროების შემთხვევაში.**

1. Mine is a totally different approach.
2. Ideas he had plenty.
3. Inflation remains high, it being somewhat lower over time.
4. The opening ceremony was delayed. The guests did not mind though.
5. The president omitted many other smaller matters, many of them having been already mentioned in his previous talk.
6. Having opened the door to opportunity and mobility, it also introduced unemployment and job insecurity.

## 5. პრაგმატული ადაპტაცია

კომუნიკაციური თეორიის თანახმად, აღნიშნავს ევ.ბრეუსი, თარგმანი ორ ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპზე ავტორი ქმნის წყარო ტექსტს, რომელსაც აღიქვამს მთარგმნელი, მეორე ეტაპზე კი მთარგმნელი ქმნის ტექსტს, რომელსაც აღიქვამს თარგმანის ადრესატი, ე.ი. კომუნიკაცია 2 ეტაპად იყოფა: პირველადი კომუნიკაცია და მეორადი კომუნიკაცია.

მეორე ეტაპზე მთარგმნელის ფუნქცია რადიკალურად იცვლება და ის გამოდის უკვე მეორადი ტექსტის – თარგმანის – ავტორის როლში, იმ განსხვავებით, რომ თვითონ კი არ ირჩევს ტექსტის ფორმას, არამედ უკვე არსებული ტექსტისთვის ეძებს ენობრივ შესატყვისს და ცდილობს ზუსტად გადასცეს ორიგინალისათვის დამახასიათებელი ყველა სპეციფიკური ნიშანი.

იმისათვის, რომ თარგმანმა ორიგინალი შეცვალოს, მან ორიგინალის კომუნიკაციური მიზანი უნდა განახორციელოს, იგივე ზემოქმედება მოახდინოს ადრესატზე. მაგრამ თარგმანი განსხვავებულ კულტურულ პირობებში შექმნილი, სხვა ენობრივი საშუალებებით გადმოცემული მეორადი ტექსტია და აუცილებლად განსხვავდება საწყისი ტექსტისგან.

ლ.კ.ლატიშევი აღნიშნავს, რომ ტექსტის ენობრივი გაფორმებისას მთარგმნელი შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: ენობრივი სისტემა, ენობრივი ნორმა, უზუსი და ტექსტის ლოგიკური სტრუქტურა (თემა-რემატული ჯაჭვი). პრაგმატული ადაპტაცია მეტად ფართო ცნებაა.

ენობრივ ნიშნებს შეუძლიათ გარკვეული პრაგმატული ზეგავლენა (სხვანაირად, კომუნიკაციური ეფექტი) მოახდინონ მკითხველზე. ამიტომაც მისი პრაგმატული პოტენციალი ამ გამოთქმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მთარგმნელისთვის მეტად მნიშვნელოვანია მიაღწიოს იმავე ზეგავლენას რეციპიენტზე, რისთვისაც მან უნდა შეინარჩუნოს დედნის პრაგმატული პოტენციალი ან ერთგვარად შეცვალოს იგი.

გერმანელმა მეცნიერმა ანოიბერტმა შემოგვთავაზა პრაგმატული ურთიერთობების 4 ტიპი. მისი გადმოცემის სირთულე კი დამოკიდებულია სათარგმნი ტექსტის ტიპზე. ყველაზე სრულად გადმოიცემა მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტების პრაგმატული მიზანი. საკმაოდ წარმატებულად ხდება სპეციალურად თარგმანისთვის განკუთვნილი ტექსტების (მაგალითად, ინფორმაციული და უცხოენოვანი აუდიტორიისთვის განკუთვნილი სხვა ლიტერატურა) პრაგმატული პოტენციალი. მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას ამის შესაძლებლობა შედარებით შეზღუდულია. ასეთი ტექსტები ხომ ორიენტირებულია იმ ენაზე მოსაუბრე ლინგვოკულტურული აუდიტორიისათვის, მაგრამ ზოგადად ყველა ადამიანებისთვის აქვს რაიმე სათქმელი. ხოლო იმ ორიგინალების პრაგმატიკა, რომლებიც საკუთრივ კონკრეტული ენობრივი კოლექტივისთვისაა განკუთვნილი და არა თარგმანისთვის (საკანონმდებლო დოკუმენტები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური პერიოდიკა, განცხადებები და სხვა.) საერთოდ არ შეიძლება გადმოიცეს ადეკვატურად. ეს არ არის დამოკიდებული თარგმანის ხარისხზე, იგი ვერ გამოიწვევს თარგმანის ადრესატში იმავე რეაქციას. ასეთი იდენტურობის მიღწევა არც არის ყველა თარგმანის აუცილებელი მიზანი, ზოგ შემთხვევაში კი იგი პრინციპულად მიუღწეველია, რაც თარგმანის რეციპიენტის თავისებურებებით აიხსნება, ან შეუძლებელია რეციპიენტის რეაქციის წინასწარ განსაზღვრა და სხვ.

რიგ შემთხვევაში ორიგინალის ეკვივალენტური თარგმანი ასევე ინარჩუნებს პრაგმატულ პოტენციალს. მაგრამ როდესაც რეციპიენტი სხვა ენობრივ და კულტურულ კოლექტივს ეკუთვნის, ეკვივალენტური თარგმანი შეიძლება პრაგმატულად არაადეკვატური აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია მიმართოს პრაგმატულ ადაპტაციას, ანუ შეაქვს დედანში შესწორებები სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური განსხვავებების გათვალისწინებით. პრაგმატული ადაპტაცია მიზნად ისახავს უზრუნველყოფას: შეტყობინების გაგება, ადეკვატური ემოციური ზემოქმედება.

ფონური ცოდნა, რომლის არსებობაზედაცაა გათვლილი ორიგინალი, ფარულად არის მოცემული ტექსტში, მხოლოდ იგულისხმება.

ხშირ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა განსაჯოს რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ რეალიის გადმოტანა და შემდეგ უკვე შეარჩიოს მისი თარგმნის ხერხები: კალკირება, შეცვლა, ტრანსფორმაცია, გამოტოვება, დამატება, ახსნა-განმარტებითი თარგმანი, კომენტარი და სხვ.

დამატება/ტრანსლიტერაცია ხშირად გამოიყენება გეოგრაფიული პუნქტების, ტოპონიმების, საკუთარი სახელების გადათარგმნისას. ახსნა-განმარტებაწარმატებით გამოიყენება ნაკლებად, ან სრულიად უცნობი რეალიების თარგმნისას. არც თუ ისე იშვიათად, მთარგმნელი ცვლის დამატებითი ინფორმაციითუცნობ, გაუგებარ ელემენტს, რომელიც მხოლოდ ნაგულისხმებია, მაგრამ რეცეპტორისათვის სრულიად ნათელი და გასაგებია.

მთარგმნელები ხშირად იყენებენ ლექსიკური ტრანსფორმაციის ისეთ სახეებს, როგორცაა გენერალიზაცია და კონკრეტიზაცია, ე.ი. რომელიმე სიტყვას უფრო ფართო ან ვიწრო მნიშვნელობის მქონე სიტყვით ცვლიან. კონკრეტიზაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი წინადადება:

**The meal was surved at 6 p.m.**

სადილი 6 საათზე გააწყვეს.

შემდეგი მაგალითი კი მთარგმნელმა გენერალიზაციის მეთოდით თარგმნა:

**That was a phrase for it when a safari went bad.**

ყოველთვის ასე ამბობენ, თუ ნადირობისას რაიმე უსიამოვნება გამოტვრა.

პრაგმატული ადაპტაცია მდგომარეობს ორიგინალის ტექსტის რედაქტირებაში, მასში შეაქვთ კულტურული, ისტორიული დაზუსტებები, ახსნა-განმარტებები, იმისათვის, რომ ეს ტექსტური ინფორმაცია აღიქვას ადამიანმა, რომელიც მიეკუთვნება სხვა კულტურულ საზოგადოებას და განსხვავებული ფონური ცოდნა გააჩნია.

**(ე) გადათარგმნეთ ქვემოთმოყვანილი ტექსტი. დაფიქრდით თუ არის**

**საჭირო დამატებითი ინფორმაციის შემოტანა კომენტარის,**

**აზრობრივი გავრცობის, ან ახსნა განმარტებითი თარგმანის სახით.**

Kingstone is one of the oldest summer cottages left standing in Newport, a reminder of the pre- Civil War days when wealthy Southern families continued the 18thcentury practice of spending their summers in the cool climate of the City-by-the-Sea. With its modest dimensions and gentle architecture, it is also a symbol of a less competitive time when houses were built more for comfort than for show.

The cottage, later to be called Kingstone, was built in 1839 for George Noble Jones, a well-to-do plantation owner from Savannah, Georgia. It is difficult to imagine today the importance that Victorians attached to the powers of nature in preserving health. George Jones liked to entertain people in his estate. Afternoon dinner and informal suppers were the rule. Horseback riding and swimming were popular pastimes. Bathing took place at Easton Beach frequently. Women were permitted to use the beach mornings, under protection of a white flag. At noon, women were expected to leave, presumably to be spared the sight of gentlemen in their bathing costumes.



## (წერილობითი) თარგმანის ჟანრული თავისებურებანი

## 6. მხატვრული ტექსტების თარგმნის სპეციფიკა

მთარგმნელს, როგორც ვიცით, უამრავი ტიპის ტექსტების თარგმნა უწევს: ამ ტექსტების ფორმა შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილი, ჰქონდეს განსხვავებული თემატიკა და კომუნიკაციური მიზანი, მაგრამ მათ აქვთ ყველა ტიპის ტექსტისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გამოვყოთ მათი თარგმნის ზოგადი კანონზომიერებები და მეთოდები. სწორედ ამას შეისწავლის თარგმნის ზოგადი თეორია. ტექსტის ლინგვისტიკის თანამედროვე მიღწევები საშუალებას გვაძლევენ მოვახდინოთ ტექსტების კლასიფიკაცია და გამოვყოთ რამდენიმე ჟანრულ-სტილისტური ტიპი, რომელთა სპეციფიკური თავისებურებები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიან თარგმნის დროს.

სათარგმნი ტექსტები პირობითად იყოფა ინფორმაციულ და მხატვრულ ტექსტებად. მხატვრული ტექსტები მოიცავს მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრულ მრავალფეროვნებას. მათ ორი ძირითადი ფუნქცია აკისრიათ: ზემოქმედებითი და ესთეტიკური. გაჩეჩილადის აზრით, ასეთ ტექსტებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გადმოცემის ფორმა, ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულება და მისი ემოციურ-ექსპრესიული ზემოქმედება მკითხველზე.

მხატვრულ ტექსტებში სხვადასხვა ჟანრები გამოიყოფა და თითოეული თავისი ინდივიდუალური, მხატვრულ-ფუნქციონალური სპეციფიკით ხასიათდება. მხატვრული თარგმანის ადეკვატურობა გულისხმობს თუ რამდენად შეესაბამება თარგმანი დედანს თავისი ესთეტიკური ფუნქციით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავად თარგმანს უნდა გააჩნდეს მხატვრული ღირებულება.

თუკი პროზაში ავტორის ძირითადი ყურადღება მაინც შინაარსზეა კონცენტრირებული, პოეზიის თარგმნისას იგი ცდილობს მიაღწიოს ფორმის სრულ ეკვივალენტობას და ამისთვის შეიძლება ზუსტი შინაარსიც კი შესწიროს

ფორმას. ცნობილია ჟუკოვსკის სიტყვები: მთარგმნელი პროზაში მონაა, პოეზიაში კი – მეტოქე.

თუკი პროზის თარგმნისას შეიძლება დავუშვათ რაღაც ტექნიკური წესების აუცილებლობა, პოეზიის თარგმნისას ეს შეუძლებელი გვეჩვენება. ტრადიციულად ითვლება კიდევ, რომ საერთოდ მისი თარგმანიც კი შეუძლებელია, რადგანაც მთარგმნელი მეტად შეზღუდულია ყველა იმ მოთხოვნებით, რაც პოეზიის მთარგმნელს მოეთხოვება.

პოეტური ნაწარმოები ხატოვანი, მეტაფორული მეტყველების მწვერვალს წარმოადგენს, რომელსაც ემატება რიტმის, ზომის, რითმის, რეფრენის, ლექსთწყობის შენარჩუნების აუცილებლობა – ეს ფორმის თავისებურებებია, რომელიც ლექსის შინაარსს განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს. არც ერთ მხატვრულ ტექსტში ფორმას არა აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა, როგორც პოეზიაში. თარგმანის დომინანტას ზემოჩამოთვლილი თავისებურებები წარმოადგენენ:

ზომის შენარჩუნება: ოთხსტროფიანი იამბი ოთხსტროფიანი იამბითვე უნდა ითარგმნოს, და არა ხუთსტროფიანი იამბით ან ოთხსტროფიანი ქორეთი.

რიტმის შენარჩუნება: ქალური და ვაჟური რითმის მონაცვლეობაც მნიშვნელოვან დარღვევად ითვლება, რადგანაც ძირფესვიანად ცვლის ლექსის ენერგიულ მუსიკალურ ინტონაციას.

- The power dams regulate the water run-off. Instead of a dry season (with hardly run-off) and a wet season (with high peaks in the river run-off), the river run-off is more averaged. Especially the peaks in the river run-off were causing sediment transports of large sediment fractions (pebbles). In other words: Due to the regulation of the river run-off, the volume of coarse sediment which is transported towards the river mouth has become less.

დავალება 1. წაიკითხეთ ტექსტი და დაასახელოთ რა ტიპის ტექსტებს მიეკუთვნება ის.

დავალება 2. გამოყავით ყველა ტერმინი, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ტიპის ტექსტებისთვის.

დავალება 3. გამოყავით გასაღები ზმნები და განსაზღვრეთ უმთავრესად რომელ გრამატიკულ დროშია ეს ზმნები გამოყენებული.

დავალება 4. თარგმნეთ მოცემული ნაწყვეტი ქართულ ენაზე.

## 9. ლექსიკური შრეების თარგმნის სპეციფიკა:

## (ა) ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების თარგმანი

მთარგმნელთა ერთ-ერთ მთავარი პრობლემათაგანია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმანი, ვინაიდან ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობა არ აიხსნება მათი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობით. შესაბამისად საჭირო ხდება მათი შესატყვისი ერთეულების დაძებნა სამიზნე ენაზე, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს ვინოგრაფის აზრით. ეს ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს ორიგინალს, როგორც მნიშვნელობით, ისე, შეძლებისამებრ, კომპონენტთა შემადგენლობით. ამის მიხედვით ფრაზეოლოგიზმებში გამოყოფენ სხვადასხვა ჯგუფებს. კკანდელაკი თავის ნაშრომში “ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები,” გამოყოფს იდიომების თარგმნითი შესაბამისობის სამ ტიპს: პირველი ტიპი წარმოადგენს თარგმანს იდიომატური პარალელებით. თარგმანის თეორეტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ზოგიერთი იდენტური ეკვივალენტი პირდაპირი კალკირებაა რუსული ენიდან. ამ მტკიცებას საფუძვლად ის უდევს, რომ მათ ადეკვატური ანალოგები მოეპოვებათ რუსულ ენაშიც. თუმცა იდიომატური პარალელების ხვედრითი წონა სხვადასხვა ენებში არცთუ ისე დიდია.

შემდეგ ჯგუფს შეადგენს არასრული იდიომატური პარალელები, რომელთა ნიმუში შეიძლება მოვიყვანოთ შექსპირის თარგმანიდან:

**I see lady, that the gentleman is not in your books.**

**როგორც ჩანს, ქალბატონო, თქვენ მას ცუდი თვალთ უყურებთ.**

როგორც კომისაროვი აღნიშნავს, შედარებით მცირე რაოდენობით გვხდება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა აზრი სულ სხვა ენობრივი საშუალებებით არის გამოხატული მეორე ენაზე, ან საერთოდ არ მოეპოვება შესატყვისი. **The girls have only to turn the tables and say – she is as vain as a man.”**

ეს წინადადება უ.თეკერის “ამაოების ბაზრიდან” შემდეგნაირად ითარგმნა:

**“ქალიშვილებს შეუძლიათ, პირიქით სრულიად შეაბრუნონ ეს და თქვან: ეს ქალი მამაკაცივით მედიდური და ამპარტავანია.”**

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმანის ხერხი იცვლება იმის შესაბამისად, თუ რა სახის ფრაზეოლოგიზმთან გვაქვს საქმე. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგვეპოვება სრული ეკვივალენტი, თარგმანი არ წარმოადგენს არსებით პრობლემას. შედარებით უფრო ძნელია ისეთ ერთეულთა თარგმანი, რომელთაც არ მოეპოვებათ იდენტური პარალელი. ამ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია აზრობრივად გადათარგმნოს გამოთქმა, რადგანაც თარგმანის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ მთავარია, თარგმნისას შენარჩუნდეს გამოთქმის შინაარსობრივი მხარე, არ მოხდეს აზრობრივი ცვლილება. მაგრამ მხატვრული ტექსტი ისე უნდა ითარგმნოს, რომ არ დაიკარგოს მისი მხატვრული ღირებულება. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მეცნიერი თვლის, რომ დასაშვებია იდიომის არასრული ეკვივალენტით გადმოცემა. მაგრამ ეს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც ზოგჯერ თითქოსდა სრული ეკვივალენტებიც შეიძლება განსხვავებული კონოტაციების მატარებელი იყოს. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ერთი და იგივე ერთეული შინაარსობრივად და აზრობრივად არ თანხვდება სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად,

**to take the bull by the horns** აქვს ორი მნიშვნელობა “საქმის არსთან მიახლოება” ან “სიძნელეების გაბედულად გადალახვა.”

კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც მოელის მთარგმნელს არის კოლორიტის შენარჩუნების პრობლემა. იმ შემთხვევაში, როდესაც ეკვივალენტი ისტორიული წარსულის თუ ეროვნული ყოფაცხოვრების ამსახველ ელემენტებს უკავშირდება, მთარგმნელმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. მაგალითად, ისეთი გამოთქმები, როგორცაა კუდი აეწვა, ჩაილულის წყალი დალია, ასახვენ ქართველთა ისტორიულ წარსულს. ჩაილულის წყალი დაკავშირებული იყო ლეკების შემოსევების პერიოდთან, როდესაც ლეკები გატაცებული საქონლით მდინარეს გადაკვეთდნენ მათი დაწევა და საკუთრების დაბრუნება უკვე უიმედო საქმე იყო, აქედანაც წარმოიშვა ეს გამოთქმა- ჩაილულის წყალი დალია, რაც ნიშნავდა “იმედების გაცრუება, ხელცარიელად დარჩენას.” მგავსი მაგალითი სხვადასხვა ენებში მრავლად მოიპოვება. ასეთი ერთეულების თარგმნისას მთარგმნელი დგება დედნის ეროვნული კოლორიტის დაკარგვის საფრთხის

წინაშე, რადგანაც წმინდა ქართული ფრაზეოლოგიზმი შემოიტანს ქართულ, ქართველისთვის მშობლიურ ელემენტს და გამოდევნის უცხოს.

**ბ) არქაიზმების თარგმანი.** მწერლების ენობრივ პალიტრაში არქაიზმებს მრავალი ფუნქცია აკისრია. მათი გამოყენება დამოკიდებულია ნაწარმოების ჟანრზე და ავტორის მიზნებზე. ისტორიულ რომანებსა და მოთხრობებში არქაიზმები აღადგენენ დროისა და ადგილის კოლორიტს. სხვა ნაწარმოებებში ისინი სტილისტური მიზნებისთვისაა გამოყენებული იმდენად, რამდენადაც მათი საშუალებით ენა შეიძლება გახდეს საზეიმო, ამალღებული, ირონიული, სატირული. არქაიზმები გამოიყენება სხვადასხვა ეპოქის საეკლესიო და ოფიციალურ-საქმიანი ენის სტილიზაციაში.

**გ) ნეოლოგიზმების თარგმანი.** ნეოლოგიზმების თარგმნა, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ სირთულეს არ ქმნის. მათი თარგმანი ხდება ზოგადი წესების გათვალისწინებით: ან ეკვივალენტური ნეოლოგიზმის მეშვეობით, ან ტრანსკრიბირებით, ან აღწერილობითი თარგმანის საშუალებით. ზოგადენობრივ ნეოლოგიზმებთან დაკავშირებით სპეციალური მთარგმნელობითი პრობლემა არ არსებობს. მაგრამ დიაქრონული თვალსაზრისით ეს პრობლემა ნამდვილად არის. ორიგინალის ტექსტი კანონიკურია და მისი აღქმა იცვლება თაობიდან თაობაში. ბევრი იმ სიტყვათაგან, რომლებიც XIX ს. ბოლო მკითხველისთვის წარმოადგენდნენ ნეოლოგიზმებს, ჩვენი თანამედროვეებისთვის იქცნენ ჩვეულებრივ სიტყვებად, ხოლო იმ სუკუნის ზოგიერთი ჩვეულებრივი სიტყვა იქცა არქაიზმად.

ნაწარმოების აღქმა იცვლება, რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებასთან, ენის მატარებელთა დონის ზრდასთან და ა.შ.

ოკაზიონალური სიტყვები–მეტყველების გამომსახველობითი საშუალებებია. ისინი ყოველთვის ექსპრესიული არიან, იქმნებიან კონკრეტული ავტორებით, მათი წარმოქმნა დაკავშირებულია გამონათქვამის მიზნებთან და კონტექსტიდან გამომდინარეობს და ამ განმსაზღვრელი ფაქტორების გარეშე ჩვეულებრივ ვერ ფუნქციონირებენ.



დ) **ჟარგონისა და დიალექტის თარგმანი.** მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ შეთახმდნენ სლენგის ზუსტ განმარტებაზე და ზოგიერთი პირობითად სლენგში აერთიანებს ჟარგონს, პროფესიონალიზმებს, კოლოქვიალიზმებსა და ვულგარიზმებს. ამავდროულად ი.გალპერინი აღნიშნავს, რომ “მკვეთრი ზღვარის გავლება ენობრივ შრეებს შორის, როგორცაა პროფესიონალიზმები და ჟარგონიზმები, ხალხური ზეპირსიტყვიერება და დიალექტიზმები არც თუ ისე ადვილია.” სლენგის თარგმანი ჩვეულებრივ ორი საშუალებით ხორციელდება: მთარგმნელმა უნდა შეარჩიოს ანალოგიური ექსპრესიის ეკვივალენტი, ან ახსნა-განმარტებით თარგმანს მიმართოს. რაც შეეხება დიალექტიზმებს, მიზანშეწონილია მათი ადეკვატური ვარიანტებით შეცვლა, თუკი ეს შესაძლებელია. ჩვეულებრივ, დიალექტიზმის რომელიც, ენობრივი ნორმის დარღვევას წარმოადგენს, შენარჩუნების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას მხატვრული ტექსტების თარგმნისას. იმ შემთხვევაში, როდესაც დიალექტიზმის გადათარგმნა შეუძლებელია, მთარგმნელი მიმართავს კომპენსირების სხვადასხვა ხერხებს, რომ შეინარჩუნოს ავტორისთვის სასურველი ეფექტი.

**დავალება1:** გადათარგმნეთ შემდეგი წინადადებები იდენტური ან ანალოგიური გამონათქვამების/ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით:

1. He had to keep a sharp eye on his sister for the sake of her good.
2. The woman obviously had the gift of second sight, whatever it might be.
3. It was still not unheard of for an angry parent to cut off his son with a shilling.
4. If you haven't been born under a lucky star you just have to work all the harder to get what you want.
5. Oh, by the way, if you want a bath, take one. There ain't a Peeping Tom on the place.

6. The mere sound of that execrable, ugly name made his blood run cold and his breath come in laboured gasps.

7. He would stand second to none in his devotion to the custom.

8. I can't make out how you stand London society when it has gone to the dogs, a lot of damned nobodies talking about nothing.

9. According to Michael, they must take it by the short hairs, 'or they might as well put up the shutters.

10. He knew how the land lay between his hopes and the number of missions Colonel Cathcart was constantly increasing.

11. I thought it my duty to warn you, but I'm prepared to take the rough and the smooth.

**დავალება 2. გადათარგმნეთ გამოყოფილი სიტყვები შემდეგ წინადადებებში:**

(ა) ნეოლოგიზმები

1. Slowly, a '*can-do*' attitude is beginning to replace the inertia in the trade unions.
2. E-commerce has become wide spread all over the world.
3. If the merger boom is now nearing a close, will it be followed by a *demerger* boom?
4. The *biodesign* movement builds on ideas in Jamine Benyus' bestselling 1997 book.
5. The Network Working Group laid out a set of 'best current practices' that Internet companies and organizations were encouraged to follow to defeat a threat known as *IP address spoofing*.
6. A cellphone case can seal against most water but adds bulk *nano coatings* render the parts themselves impervious to water damage, so the protection comes without added bulk.

**(b) ჟარგონი**

1. Last night was a flop. I was supposed to go to the movies with my friend, but he didn't show up. He's such a flopper.
2. Person A: Why are you playing video games? Shouldn't you be studying for final?  
Person B: YOLO.
3. My older cousin does not know who Justin Bieber is. What a noob!
4. Donna's PowerPoint presentation was incredibly boring. I had to lean in so far I nearly fell out of my chair in the middle of the crowded conference room.
5. I am confident that, at the end of the day, we will gain some quick wins through onboarding then socialising the concept of eliminating jargon.
6. Going forward, we will all be on the same page – indeed singing from the same song sheet – and be thinking out of the box when it comes to the language we utilise in the C-suite.

## 10. მთარგმნელობითი კომპეტენციის ძირითადი შემადგენლები

ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის მიზანია მის მონაწილეებს შორის დამყარდეს კომუნიკაცია, რომელიც არ იქნება წარმატებული თუ შეტყობინების მიმღები ვერ გაიგებს ამ შეტყობინებას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, აღნიშნავს ლატიშევი, თუ ადრესატმა საერთოდ არ იცის, ან ცუდად იცის ენა, რომელზედაც არის შექმნილი შეტყობინება, ან არ გააჩნია ინფორმაციის გასაგებად საჭირო ფონური ცოდნა. შესაბამისად, ადრესატი კომუნიკაციურად არაკომპეტენტურია. ამ ცნებაში იგულისხმება ყველა ზემოჩამოთვლილი კომპონენტის (ენის, ფონური ინფორმაციის) კომპლექსური ერთობლიობა, რომელიც საშუალებას მისცემს ადრესატს გახდეს კომუნიკაციური აქტის სრულფასოვანი მონაწილე. ცალკეული ადამიანის კომუნიკაციურ კომპეტენტურობას სხვადასხვა კომპონენტი ქმნის. ის მოიცავს ენის ცოდნასაც, შესაბამისი ენობრივი ერთეულებით, გრამატიკული ფორმებითა და წესებით, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ ფორმების დაკავშირება; კონკრეტულ სიტუაციაში, ჩამოყალიბებული ენობრივი ტრადიციების გათვალისწინებით ენის გამოყენების უნარი; ეს ეროვნული კულტურის ცოდნაც და შესაბამისი ფონური ინფორმაციის ცოდნა.

თარგმანი, როგორც ორენოვანი კომუნიკაცია, ამ აქტის უფრო რთულ სახეს წარმოადგენს, რადგანაც ერთენოვანი კომუნიკაციისგან განსხვავებით იგი შუამავლის საშუალებით ხორციელდება. შუამავლის როლში გვევლინება მთარგმნელი, რომელიც ურთიერთობის პირველ საფეხურზე გამოდის ადრესატის, ხოლო შემდეგ შეტყობინების გამგზავნის როლში. შესაბამისად, მთარგმნელიც უნდა იყოს კომუნიკაციურად კომპეტენტური. მაგრამ ეს არ არის საკმარისი წარმატებული თარგმანისთვის. მთარგმნელს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული ისეთი უნარ-ჩვევები, რომ მან შეძლოს ერთ ენაზე მიიღოს ინფორმაცია და შემდეგ მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს იგი მეორე ენაზე. სწორედ კომუნიკაციური კომპეტენტურობისა და ამ უნარ-ჩვევების ერთობლიობა შეადგენს მთარგმნელობით კომპეტენციას, რომელიც კომუნიკაციურ

კომპეტენტურობაზე უფრო ფართო ცნებაა და სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება.

მთარგმნელობითი კომპეტენცია გულისხმობს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომლებიც საშუალებას აძლევს მთარგმნელს წარმატებით გადაწყვიტოს თავისი პროფესიონალური ამოცანები. მთარგმნელობით კომპეტენციაში გამოყოფენ ბაზურ და პრაგმატულ ნაწილებს.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ბაზურ ნაწილში იგულისხმება მთარგმნელობითი კომპეტენციის ელემენტები, რომლებიც მუდმივად ზემოქმედებენ პროფესიონალურ თარგმანზე (წერილობითი და ზეპირი სახის თარგმანში). პრაგმატული ნაწილი მოიცავს იმ ცოდნას, ჩვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია მთარგმნელისათვის ამა თუ იმ სახის თარგმანში (ზეპირი, წერილობითი ან სინქრონული თარგმნისას – სამეცნიერო-ტექნიკური, მხატვრული, საქმიანი დოკუმენტების თარგმნის დროს და ა.შ.).

ბაზური ნაწილი შედგება კონცეპტუალური და ტექნოლოგიური ერთეულებისაგან.

მთარგმნელობითი კომპეტენციის კონცეპტუალური ერთეულებია მთარგმნელის წარმოდგენა თარგმანის არსზე, მის სპეციფიკაზე. იგი იმდენად მნიშვნელოვანია მთარგმნელისთვის, როგორც მუსიკოსისთვის სმენა. თუ მთარგმნელს არაადეკვატური წარმოდგენა აქვს თარგმანზე, იგი სიყალბეს ვერ გაექცევა, შედეგად კი შეიქმნება დედნისგან განსხვავებული, სრულიად სხვა, დამახინჯებული ტექსტი.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ტექნოლოგიური მხარე არის თარგმნის წესების ერთობლიობა, რომელიც ენობრივ შუამავალს ეხმარება გადალახოს “ტექნიკური” მთარგმნელობითი სიძნელები და გადაწყვიტოს ის ამოცანები, რაც თარგმნისას ხვდება მთარგმნელს. რაც შეეხება მთარგმნელობითი კომპეტენციის პრაგმატულ ნაწილს, ის მოიცავს მთარგმნელისთვის ხელმისაწვდომ მთარგმნელობით ასპექტებს, ტექსტის ჟანრებსა და თემებს. ამ მთარგმნელობით ასპექტებს მიაკუთვნებენ სპეციფიკურ ერთეულებს, ხოლო მთარგმნელის

თემატურ და ჟანრობრივ შესაძლებლობებს მთარგმნელობითი კომპეტენციის სპეციალურ ერთეულებს.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ბაზური ერთეულები საკმარისია წერითი თარგმანის შესასრულებლად, ყოველგვარი სპეციალური ცოდნის გარეშე. მთარგმნელობითი კომპეტენციის სპეციალური ერთეულები ეყრდნობა ექსტრალინგვისტურ ცოდნას სხვადასხვა სპეციალურ სფეროებში, ტექნიკაში, ეკონომიკაში, იურისპუდენციაში და ა.შ.

## დამატებითი დავალებები და ტექსტები პრაქტიკისთვის

რედაქტირება. შეადარეთ ინგლისური და ქართული ტექსტები. გაანალიზეთ დაშვებული შეცდომები (გრამატიკული, სტილისტური, ლექსიკური და ა.შ.). შეიტანეთ შესაბამისი ცვლილებები ტექსტში.

### ტექსტი 1

As a guerrilla leader, Manual Marulanda (alias *Tirofijo* or Sureshot) has seen a dozen Colombian presidents come and go. Initially a fighter in a Liberal militia, in 1964 he founded the FARC, the country's largest guerilla army. He has survived 16 false reports of his killing by the army, according to his biographer. Now it seems that illness may finally about to claim Mr Marulanda, at 73.

Patricia Lara, a Colombian journalist with good guerilla contacts, reported last week that Mr Marulanda has prostate cancer, and is likely to die within six months, and perhaps. One of her sources claimed that he is at present in a hospital in Brazil.

პარტიზანთა ლიდერმა, მანუელ მარულანდა (მეტსახელად, ტიროფიჯო, ანუ “შუერშოტი”) მრავალი კოლუმბიელი პრეზიდენტის მონაცვლეობა იხილა. თავდაპირველად ლიბერალური მილიციის მეთაურმა, მან 1964 წ. დაარსა ქვეყნის უდიდესი პარტზანული ჯარი. მისი ბიოგრაფიის დამოწმებით, მარულანდა გადაურჩა 16 ყალბ განცხადებას სამხედროების მიერ მისი მოკვლის შესახებ. ახლა კი, როგორც ჩანს, 73 წლის ბატონი მარულანდა ავადმყოფობას კლანჭებში მოექცევა.

პატრიშია პარმა, პარტიზანებთან კარგ კავშირში მყოფმა ჟურნალისტმა, გასულ კვირას განაცხადა, რომ ბატონ მარულანდას პროსტატის კიბო აქვს და შესაძლებელია მან 6 თვეში ან უფრო ადრეც სული განუტევეს. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით იგი ამჟამად ბრაზილიის საავადმყოფოში იმყოფება.





## 7. Performance security კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფა

- 7.1 კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში, ტენდერის წარმატებულმა მონაწილემ უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფა კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში დაკონკრეტებული ოდენობით.

Within thirty (30) days of receipt of the notification of contract award, the successful tenderer shall furnish to the Purchaser the performance security in the amount specified in the SCC.

- 7.2 კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფის სახსრები გადაეხდება შემსყიდველს კომპენსაციის სახით ნებისმიერი ზარალისთვის, რომელიც წარმოიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვერ შეძლებს კონტრაქტით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

The proceeds of the performance security shall be payable to the Purchaser as compensation for any loss resulting from the Supplier's failure to complete its obligations under the Contract.

## 8. Inspections and tests ინსპექციები და ტესტირება

- 8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს შეამოწმოს და ტესტირება ჩაუტაროს საქონელს იმისათვის, რომ დაადასტუროს მათი შესაბამისობა კონტრაქტის სპეციფიკაციებთან. კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში და ტექნიკურ სპეციფიკაციებში მოცემულია რა ინსპექციას და რა ტესტებს მოითხოვს შემსყიდველი და სად არიან ისინი ჩასატარებელი. შემსყიდველი წერილობითი ფორმით, დროულად, აცნობებს მიმწოდებელს იმ პირების შესახებ, რომლებიც ამ მიზნებისთვის იყენენ შერჩეული.

Purchaser or its representative shall have the right to inspect and/or to test the Goods to confirm their conformity to the Contract specifications at no extra cost to the Purchaser. The SCC and the Technical Specifications shall specify what inspections and tests the Purchaser requires and where they are to be conducted. The Purchaser shall notify the Supplier in writing, in a timely

manner, of the identity of any representatives retained for these purposes.

## 9. Packing შეფუთვა

9.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რაც საჭიროა მათი დაზიანების ან გაუარესებისგან დასაცავად მათ გადატანისას საბოლოო დანიშნულების ადგილამდე, როგორც ეს მითითებულია კონტრაქტში. საფუთი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ გაუძლოს, სხვა ზეგავლენასთან ერთად უხეშ მოპყრობას გადაზიდვის დროს და ექსტრემალური ტემპერატურის, მარილების და ნალექის ზეგავლენას გადაზიდვის და ღიად საცავში მოთავსების დროს. კონტეინერის ზომა და წონა გათვალისწინებული უნდა იყოს, სადაც საჭიროა, საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილის სიშორე და გადაზიდვის ყველა პუნქტში ტვირთაგადამუშავების არქონა.

Supplier shall provide such packing of the Goods as is required to prevent their damage or deterioration during transit to their final destination as indicated in the Contract. The packing shall be sufficient to withstand, without limitation, rough handling during transit and exposure to extreme temperatures, salt and precipitation during transit and open storage. Packing case size and weights shall take into consideration, where appropriate, the remoteness of the Goods' final destination and the absence of heavy handling facilities at all points in transit.

9.2 შეფუთვა, მონიშვნა და დოკუმენტაცია პაკეტების შიგნით და გარეთ, მკაცრად უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რომელიც უშუალოდ გათვალისწინებულია კონტრაქტში, მათ შორის დამატებითი მოთხოვნები, ასეთის შემთხვევაში, რომლებიც დაკონკრეტებულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში და შემსყიდველის მიერ გაცემულ რაიმე მომღვენო ინსტრუქციებში.

The packing, marking and documentation within and outside the packages shall comply strictly with such special requirements as shall be expressly provided for in the Contract, including additional requirements, if any, specified in the SCC, and in any subsequent instructions ordered by the Purchaser.

## 10. Delivery and documents გადაზიდვა და დოკუმენტაცია

10.1 მიმწოდებელმა უნდა გადაზიდოს საქონელი „მოთხოვნათა ჩამონათვალში“ მოცემული

დებულებების შესაბამისად. დეტალები შემსყიდველის მიერ წარმოსადგენი გადაზიდვის და/ან დოკუმენტაციისა დაკონკრეტებულია კონტრაქტის ზოგად პირობებში. Delivery of the Goods shall be made by the Supplier in accordance with the terms specified in its Schedule of Requirements. The details of shipping and/or documents to be furnished by the Supplier are specified in the SCC.

- 10.2 კონტრაქტის მიზნებისთვის, მხარეთა ვალდებულებების ასაღწერად გამოყენებულ “EXW”, “FOB”, “FCA”, “CIF”, “CIP” და სხვა სავაჭრო ტერმინებს აქვთ მნიშვნელობა, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოქვეყნებული „ინკოტერმის” მიმდინარე გამოცემაში.

For purposes of the Contract, “EXW”, “FOB”, “FCA”, “CIF”, “CIP”, and other trade terms used to describe the obligations of the parties shall have the meanings assigned to them by the current edition of Incoterms, published by the International Chamber of Commerce, Paris.

## 11. Insurance დაზღვევა

- 11.1 კონტრაქტის შესაბამისად მიწოდებული საქონელი მთლიანად უნდა იყოს დაზღვეული მარტივად კონვერტირებად ვალუტაში დაკარგვის თუ დაზიანების შემთხვევებისთვის, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან ან შექმნასთან, ტრანსპორტირებასთან, საწყობში დაწყობასთან და გადაზიდვასთან კონტრაქტის განსაკუთრებული პირობების შესაბამისად.

The Goods supplied under the Contract shall be fully insured in a freely convertible currency against loss or damage incidental to manufacture or acquisition, transportation, storage and delivery in the manner specified in the SCC.

## 12. Transportation ტრანსპორტირება

- 12.1 როდესაც კონტრაქტის მიხედვით მომწოდებლისგან მოითხოვება საქონლის მოწოდება FOB-ის საფუძველზე, საქონლის ტრანსპორტირების ორგანიზება და ანაზღაურება, მითითებულ პორტში გემზე ჩატვირთვის ჩათვლით, ხდება მომწოდებლის მიერ და ეს

ღირებულება შეტანილია კონტრაქტის ღირებულებაში. როდესაც კონტრაქტის მიხედვით მომწოდებლისგან მოითხოვება მოაწოდოს FCA საქონელი, საქონლის ტრანსპორტირება და მისი მიწოდება გადამზიდისთვის პუნქტში, რომელიც მითითებულია მყიდველის მიერ ან სხვა შეთანხმებულ პუნქტში, ხორციელდება და ანაზღაურდება მომწოდებლის მიერ და მისი ღირებულება შეტანილია კონტრაქტის ღირებულებაში.

Where the Supplier is required under the Contract to deliver the Goods FOB, transport of the Goods, up to and including the point of putting the Goods on board the vessel at the specified port of loading, shall be arranged and paid for by the Supplier and the cost thereof shall be included in the Contract Price. Where the Supplier is required under the Contract to deliver the Goods FCA, transport of the Goods and delivery into the custody of the carrier at the place named by the Purchaser or other agreed point shall be arranged and paid for by the Supplier, and the cost thereof shall be included in the Contract Price.

## 15. Warranty გარანტია

15.1 მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ კონტრაქტით მოწოდებული საქონელი არის ახალი, უხმარი, უკანასკნელი ან თანამედროვე მოდელის და კონსტრუქციასა და მასალაში გააჩნია უკანასკნელი სრულყოფები, თუკი სხვა რამ არ არის განსაზღვრული კონტრაქტით. მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ კონტრაქტით მოწოდებულ საქონელს არ გააჩნია კონსტრუქციასთან, მასალასთან და დამზადებასთან დაკავშირებული დეფექტები (იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც კონსტრუქცია და/ან მასალა შეესაბამება მყიდველის სპეციფიკაციას) ან მომწოდებლის მხრიდან ნებისმიერ ქმედებასთან ან ქმედების არარსებობასთან დაკავშირებული დეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდნენ მოწოდებული საქონელის ნორმალური გამოყენებისას დანიშნულების ქვეყანაში გაბატონებულ პირობებში.

The Supplier warrants that the Goods supplied under the Contract are new, unused, of the most recent or current models and incorporate all recent improvements in design and materials unless provided otherwise in the Contract. The Supplier further warrants that all Goods supplied under this Contract shall have no defect, arising from design, materials or workmanship (except insofar as the design and/or material is required by the Purchaser's specifications) or from

any act or omission of the Supplier, that may develop under normal use of the supplied Goods in the conditions obtaining in the country of final destination.

- 15.2 ეს გარანტია ინარჩუნებს თავის ძალას 12 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც საქონელი ან მისი ნებისმიერი ნაწილი, შემთხვევიდან გამომდინარე, მოწოდებული ან მიღებულია კონტრაქტში მითითებულ კონკრეტულ პუნქტში ან 18 თვის განმავლობაში მწარმოებელი ქვეყნის ჩატვირთვის პორტიდან გაგზავნის დღიდან, იქიდან გამომდინარე, რომელი პერიოდი მთავრდება უფრო ადრე, თუ რაიმე სხვა არ არის მითითებული კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში.

This warranty shall remain valid for 12 months after the Goods, or any portion thereof as the case may be, have been delivered to or accepted at the final destination indicated in the Contract, or for 18 months after the date of shipment from the port of loading in the source country, whichever period concludes earlier, unless specified otherwise in the SCC.

- 15.3 მყიდველი დაუყოვნებლივ აცხობინებს მომწოდებელს წერილობითი ფორმით მოცემულ გარანტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ.

The Purchaser shall promptly notify the Supplier in writing of any claims arising under this warranty.

- 15.4 ასეთი შეტყობინების მიღების შემდგომ კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში მითითებული პერიოდის განმავლობაში, რეალურად მოკლე დროში მომწოდებელი ვალდებულია გაარემონტოს ან შეცვალოს დეფექტური საქონელი ან ნაწილი მყიდველის ხარჯების გარეშე, გარდა, სადაც ეს მისაღებია, გაარემონტებული ან შეცვლილი სასაქონელის ან ნაწილის შიგა მოწოდების ღირებულებისა “ქარხნიდან” ან პორტიდან, ან შემოსვლის პუნქტიდან დანიშნულების პუნქტამდე.

Upon receipt of such notice, the Supplier shall, within the period specified in the SCC, and with all reasonable speed, repair or replace the defective Goods or parts thereof, without costs to the Purchaser other than, where applicable, the cost of inland delivery of the repaired or replaced Goods or parts from EXW or the port or place of entry to the final destination.

## 16. Payment გადახდა

- 16.1 მოცემული კონტრაქტით მომწოდებლისთვის ფულადი გადასახადის მეთოდი და პირობები მითითებულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში.

The method and conditions of payment to be made to the Supplier under the Contract shall be specified in the SCC.

- 16.2 მომწოდებლის მოთხოვნა, ფულადი გადასახადის განხორციელების შესახებ, ეგზავნება მყიდველს წერილობითი ფორმით და თან ახლავს ზედნაღები მოწოდებული საქონელის და გაწეული მომსახურების და აგრეთვე დოკუმენტების, რომლებიც წარდგენილია კონტრაქტის ზოგადი პირობების მე-10 მუხლის თანახმად, შესაბამისი აღწერილობით და კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

The Supplier's request(s) for payment shall be made to the Purchaser in writing, accompanied by an invoice describing, as appropriate, the Goods delivered and Services performed, and by documents submitted pursuant to GCC Clause 10 and upon fulfilment of other obligations stipulated in the Contract.

- 16.3 მყიდველი ახორციელებს ფულად გადასახადს ჩქარა, მომწოდებლის მიერ ზედნაღებისა და მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 60 დღისა.

Payments shall be made promptly by the Purchaser, but in no case later than sixty (60) days after of submission of an invoice or claim by the Supplier.

- 16.4 ვალუტა, რომლითაც ხორციელდება მოცემული კონტრაქტის მიხედვით მომწოდებლისთვის ფულადი გადასახადი, მითითებულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში ზოგადი პრინციპის გათვლით, რომლის თანახმადაც ფულადი გადასახადი ხორციელდება იმ ვალუტაში, რომლის მოთხოვნაც აქვს მომწოდებელს სატენდერო განაცხადში.

The currency or currencies in which payment is made to the Supplier under this Contract shall be specified in the SCC subject to the following general principle: payment will be made in the currency or currencies in which the payment has been requested in the Supplier's tender.

## 19. **Contract amendments** კონტრაქტის ცვლილებები

- 19.1 კონტრაქტის ზოგადი პირობების მე-18 მუხლის შესაბამისად კონტრაქტის ნებისმიერი

მდგომარეობის ცვლილებები შეიძლება განხორციელებული იქნას ცვლილების შესახებ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენის გზით. Subject to GCC Clause 18, no variation in or modification of the terms of the Contract shall be made except by written amendment signed by the parties.

## **20. Assignment დათმობა**

20.1 მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მომწოდებელი მოცემული კონტრაქტის მიხედვით ვერ შეძლებს თავისი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ დათმობას.

The Supplier shall not assign, in whole or in part, its obligations to perform under the Contract, except with the Purchaser's prior written consent.

## **23. Liquidated damages for delays შეფერხებაზე წინასწარ შეფასებული ზარალი**

23.1 კონტრაქტის ზოგადი პირობების 25-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, თუ მომწოდებელი არ უზრუნველყოფს ნებისმიერი ან მთელი საქონელის მოწოდებას ან მომსახურების შესრულებას კონტრაქტში მითითებული დროის განმავლობაში, მყიდველი სხვა ზომებისთვის ზიანის გარეშე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კონტრაქტის შესაბამისად წინასწარ შეფასებული ზარალის სახით კონტრაქტის ღირებულებიდან გამოქვითავს თანხას, ექვივალენტურს კონტრაქტის ზოგადი პირობების დადგენილი პროცენტისადმი მოწოდების ღირებულებიდან საქონელის შეფერხების ან მომსახურების შეუსრულებლობის ყოველი კვირის გათვალისწინებით ან მისი ნაწილის საქონელის ფაქტობრივ მოწოდებამდე ან მომსახურების შესრულებამდე ასეთი პროცენტის მაქსიმალური დაქვითვის ჩათვლით, რაც გათვალისწინებულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში. მაქსიმალური დონის მიღწევისას მყიდველს შეუძლია განიხილოს საკითხი კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე კონტრაქტის ზოგადი პირობების 24-ე მუხლის დებულების მიზნით. Subject to GCC Clause 25, if the Supplier fails to deliver any or all of the Goods or perform the Services within the time period(s) specified in the Contract, the Purchaser shall, without prejudice to its other remedies under the Contract, deduct from the Contract Price, as liquidated damages, a sum equivalent to the percentage specified in the SCC of the delivered price of the delayed Goods or

unperformed Services for each week or part thereof of delay until actual delivery or performance, up to a maximum deduction of the percentage specified in the SCC. Once the maximum is reached, the Purchaser may consider termination of the Contract pursuant to GCC Clause 24.

## 25. Force majeure ფორს-მაჟორი

25.1 კონტრაქტის ზოგადი პირობების 22, 23, 24-ე მუხლების დებულებების მიუხედავად არ მოხდება მომწოდებლის კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფის კონფისკაცია, წინასწარ შეფასებული ზარალის ან კონტრაქტის შეწყვეტისას ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს, იმ შემთხვევებში, როდესაც შეფერხება კონტრაქტის შესრულებაში ან ვალდებულებების შეუსრულებლობა კონტრაქტის მიხედვით წარმოადგენს “ფორს-მაჟორული” მოვლენის შედეგს.

Notwithstanding the provisions of GCC Clauses 22, 23 and 24, the Supplier shall not be liable for forfeiture of its performance security, liquidated damages or termination for default, if and to the extent that, its delay in performance or other failure to perform its obligations under the Contract is the result of an event of “Force Majeure”.

25.2 მოცემული მუხლის მიზნებისთვის, „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მოვლენას, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს მომწოდებლის მხრიდან და არ არის დაკავშირებული მის შეცდომასთან ან დაუდევრობასთან, რომლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ესეთ მოვლენებში შეიძლება იგულისხმებოდეს, და არა მხოლოდ, საკუთრივ მყიდველის ქმედება, ომი და რევოლუცია, ხანძარი, წყალდიდობა, ეპიდემია, საკარანტინო შეზღუდვები და ემბარგო გადაზიდვებზე.

For the purposes of this Clause, “Force Majeure” means an event beyond the control of the Supplier and not involving the Supplier’s fault or negligence and not foreseeable. Such events may include, but are not restricted to, acts of the Purchaser in its sovereign capacity, wars or revolutions, fires, floods, epidemics, quarantine restrictions and freight embargoes.



## 28. Resolution of disputes დავის გადაწყვეტა

28.1 მყიდველი და მომწოდებელი ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების გზით შეთანხმებით გადაწყვიტონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშვა მათ შორის კონტრაქტის გამო ან მასთან მიმართებაში.

The Purchaser and the Supplier shall make every effort to resolve amicably by direct informal negotiation any disagreement or dispute arising between them under or in connection with the Contract.

28.2 თუ ასეთი არაფორმალური მოლაპარაკებების დაწყებიდან ოცდაათ (30) დღეში მყიდველმა და მომწოდებელმა ვერ შესძლეს კონტრაქტის მიხედვით დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ დავა გადაცემული იქნას განხილვისათვის კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში მითითებული ფორმალური მექანიზმების დახმარებით. ასეთი მექანიზმები გულისხმობენ, და არა მარტო, შერიგების პროცედურა მესამე პირის შუამავლობით, საარბიტრაჟო განხილვა შეთანხმებულ ნაციონალურ ან საერთაშორისო ორგანოში და/ან საერთაშორისო არბიტრაჟი.

If, after thirty (30) days from the commencement of such informal negotiation, the Purchaser and the Supplier have been unable to resolve amicably a Contract dispute, either party may require that the dispute be referred to the formal mechanisms specified in the SCC. These mechanisms may include, but are not restricted to, conciliation mediated by a third party, adjudication in an agreed national or international forum, and/or international arbitration.

## 29. Governing language ძირითადი ენა

29.1 კონტრაქტის შედგენა ხდება ენაზე, რომელიც მითითებულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში. კონტრაქტის ზოგადი პირობების 30-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, მოცემულ ენაზე შედგენილ კონტრაქტის ვარიანტს ენიჭება უპირატესობა მისი ინტერპრეტაციისას. მთელი კორექსონდენცია და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ეხება კონტრაქტს და გაიცვლება მხარეებს შორის, სრულდება იმავე ენაზე. The Contract shall be written in the language specified in the SCC. Subject to GCC Clause 30, the version of the Contract written in the

specified language shall govern its interpretation. All correspondence and other documents pertaining to the Contract which are exchanged by the parties shall be written in the same language.

### **30. Applicable law გამოყენებული კანონი**

30.1 კონტრაქტი განიმარტება მყიდველის ქვეყნის კანონების შესაბამისად, თუ რაიმე სხვა არ არის გათვალისწინებული კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში. The Contract shall be interpreted in accordance with the laws of the Purchaser's country, unless otherwise specified in the SCC.

### **32. Taxes and duties გადასახადები და მოსაკრებლები**

32.1 უცხოელი მიმწოდებელი მთლიანად პასუხისმგებელია ყველა გადასახადზე, საგაჭრო მოსაკრებელზე, საბეგრო გადასახადსა და სხვა მსგავს მოსაკრებელზე, რომელიც გადასახდელია შესყიდველის ქვეყნის გარეთ.. A foreign Supplier shall be entirely responsible for all taxes, stamp duties, license fees, and other such levies imposed outside the Purchaser's country.

32.2 ადგილობრივი მიმწოდებელი მთლიანად პასუხისმგებელია ყველა გადასახადზე, მოსაკრებელზე, სალიცენზიო გადასახადზე და ა.შ. რომელიც წარმოიშება შესყიდველამდე ხელშეკრულების საქონლის ჩაბარებამდე. A local Supplier shall be entirely responsible for all taxes, duties, license fees, etc., incurred until delivery the contracted Goods to the Purchaser.